ეროვნული ბიბლიოთეკა


# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

No. 5 — GEORGIAN OPINION — NEW YORK, APRIL 1956


**ნიუ იორკი, აპრილი 1956**

როდესაც საქმე ეხება რუსეთს, საჭიროა ადამიანმა თავი გაინთავისუფლოს დასავლეთის ყოველგვარი გავლენისაგან და ჩაიკეტოს რუსეთის იმ განსაკუთრებულ ატმოსფეროში, რომელიც მათმა ორიგინალურმა ისტორიამ შექმნა. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება რუსეთის ხალხის ბუნებისა და იქაური პრინციპების ნათელი წარმოდგენა, რაც საფუძველია საბჭოეთში წარმოშობილი ყოველი მოვლენის და რის ახსნას ასე მონდომებულად ცდილობენ თავისუფალი ქვეყნები.

1890-ან წლებში, სოციალიზმის მამამთავართაგანი ფ. ენგელსი სწერდა: „რუსეთში შეწყნარებული არიან მხოლოდ ოფიციალური მითებიო“. ხოლო უფრო ადრე საფრანგეთის ელჩმა მარკიზ დე კუსტინმა სთქვა: „პოლიტიკური მორჩილება გადაქცეულია კულტად, ეს არის რუსული რელიგია“ო.

ამ ორი სტრიქონიდანაც ნათლად სჩანს, რომ ბოლშევიზმის წარმოშობამდეც რუსებისათვის არსებობდა სახელმწიფოს ღვთაებრივობა და მისი უდიდესი მორჩილება. რუსული ბუნება საუკუნეებმა დაამუშავეს ტოტალიტარული რეჟიმისათვის და ამაოა მისი გარდაქმნის ცდა, ყოველშემთხვევაში საუკუნეების გარეშე.

ამ მხრივ ერთი დამახასიათებელი მოვლენათაგანია რუსული კომუნისტური პარტიის მე-20 კონგრესი, რომელსაც დას. პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია. უპირველეს ყოვლისა ალსანიშნავია, რომ რუსეთში სულ სხვა შესატყვისი აქვს „პარტიას“, ვიდრე დასავლეთში. ვინც ამას არ გაითვალისწინებს ის კონგრესზე წარმოშობილ მოვლენებსაც ვერ ახსნის. დასავლეთის გაგებით „პარტია“ არის შუამავალი, მოციქული სახელმწიფოსა და ხალხს შორის, რომელიც იშვება, ვითარდება და მოქმედობს განსაკუთრებული პრინციპებითა და იდეებით, ხოლო ხალხის ნებაყოფლობითი მხარის დაჭერით. რუსული გაგებით-კი „პარტია“ არის „სახელმწიფოს“ სინონიმი. პარტიის დადგენილება სავალდებულოა სახელმწიფოს ყოველი დარგის უწყებისათვის და სახელმწიფო მმართველობა, სამინისტროები და მინისტრები უბრალო მოხელეებია პარტიისა.

მას შემდეგ რაც კიევის სახელმწიფო ორგანიზმი დაამხო მოსკოვმა და შეიქმნა პირველი სლავიანური იმპერია, რუსული სახელმციფო ორგანიზაცია განვითარდა აბსოლუტური და ტოტალიტარული მიმართულებით. ზოგიერთი ისტორიკოსების აზრით რუსის ხალხის ფსიქოლოგიაზე და ბუნებაზე დიდი გავლენა მოახდინა მონგოლების და თათრების შემოსევებმა და მათმა ხანგრძლივმა ბატონობამ. მოსკოვის სახელმწიფომ ფეხი აიდგა მონგოლების ბატონობის ხანაში და მათი გავლენით, ამიტომ ბუნებრივია, რომ მოსკოვმა შეითვისა მართველობის დესპოტიური და ტოტალიტარული ფორმა.

ამგვარად, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი და თვით ბოლშევიზმი როგორც იდეოლოგია გაჟღენთილია რუსული სულისკვეთებით და ანარეკლია მათი ეროვნული ტრადიციების. მაგალითისათვის საკმარისია მოვიგონოთ სტალინის მოქმედება, რომელმაც დეკრეტებით გარდაქმნა არა მარტო რუსული საზოგადოებრივობა, არამედ თვით რუსული ისტორიაც და შექმნა თავისი საკუთარი პიროვნების კულტი. სტალინის სიცოცხლეში, უკანასკნელ კონგრესზე მილიონიანი პარტიის დელეგატების მოვალეობა იყო დეკორატიული, ყველაფერი უნდა გაეზიარებინათ და ტაში ეკრათ „შეუმცდარი ბელადისათვის“. ასევე მწყობრად ჩატარდა მეოცე კონგრესიც. აქაც, ათას სამასზე მეტი დელეგატის მოვალეობა იყო ტაში ეკრათ ბელადისათვის, ამ შემთხვევაში ხრუშჩოვისათვის. მაგრამ აქ მოხდა ერთი საინტერესო მოვლენა: ხრუშჩოვმა, სუსლოვმა და მიქოიანმა გაილაშქრეს ე.წ. „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ. ე.ი. მათ გაილაშქრეს უხეში დიქტატურის და საბჭოთა რეჟიმის ცენტრალისტური წყობილების წინააღმდეგ, რომელიც დაამყარა სტალინმა. სამაგიეროდ წამოაყენეს „ლენინის დოქტრინა“, რომელიც თითქოს პარტიაში კრიტიკის უფლებას იწყნარებს.

ცხადია, ეს ცნობა დელეგატებმა ისეთივე ენტუზიაზმით მიიღეს, როგორც იღებდნენ სტალინის ყოველ განცხადებას. კიდევ მეტი. ხრუშჩოვმა აღმოაჩინა, რომ 30 წლის განმავლობაში „შეუმცდარი ბელადი“ სრულიადაც არ ყოფილა „შეუმცდარი“ და უცოდველი და რუსული იმპერიის ყოველგვარი მარცხის ერთად ერთი მიზეზი სტალინი ყოფილა. მეორე მსოფლიო ომში რუსეთის სისუსტე, საბჭოთა რეჟიმის სიმკაცრე, მოქალაქეთათვის უფლებების აყრა და პირუტყვულ მდგომარეობამდე დაყვანა, იძულებითი შრომის ბანაკები და სხვა, ყველაფერი სტალინის მოგონილი ყოფილა და იმიტომ რომ ის იყო მანიაკი, სადისტი და სისხლის მსმელი გაუმაძღარი სვავი.

ამაში ახალი არაფერია. 35 წლის მანძილზე ქართული ემიგრაციის მტკიცების საგანი მხოლოდ ეს იყო. ლოღიკური იქნებოდა, რომ მოსკოვის ამ აღსარებას მოჰყოლოდა არა მარტო სტალინის კულტის დამხობა,. არამედ ამ მანიაკის მიერ შექმნილი ყველა ინსტიტუციების გაუქმება. მაგრამ ეტყობა რუსეთის დღევანდელი მეთაურები ამაზე სრულებითაც არ ფიქრობენ. მათ დაამხეს სტალინის კულტი, მაგრამ მისი პოლიტიკა მიიღეს და შემოინახეს. მათ უარი არ უთქვამთ არც საკონცენტრაციო თუ იძულებითი შრომის ბანაკებზე, არც სოციალიზმის ერთ ქვეყანაში დამყარების იდეაზე, არც ადამიანი აღუდგენიათ მოქალაქეობრივ უფლებებში, არც მუშისათვის მიუციათ სიტყვისა და გაფიცვის უფლება და არც დაპყრობილი ერებისათვის შეუშვიათ მონობის არტახები. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს უფრო სერიოზულ და ღრმა მოვლენასთან ვიდრე სტალინის მანიაკობაა.

## რა მოხდა საქართველოში?

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის მეთაური ეხებოდა ამა წლის მარტში თბილისში ქართველებსა და რუსებს შორის მომხდარ შეტაკებებს და ვამბობდით: „თბილისის დემონსტრაციები უტყუარი ფაქტია, რომ ქართველი ერის მებრძოლი სული მოსკოვის უხეშობას ვერ გაუტეხია და ქვეყანა განაგრძობს თავისუფლებისათვის ბრძოლას“.

ეს დასკვნა სავსებით დაადასტურა შემდეგ მიღებულმა ცნობებმა. საქართველოს ამბებს შეეხო ევროპისა და ამერიკის ყველა დიდი გაზეთი. გერმანული პრესიდან მშვენიერი წერილები უძღვნეს საქართველოს „სიუდდოიჩე ცაიტუნგმა“, ჰამბურგის დიდმა გაზეთმა „ველტ ამ ზონტაგ“ და სხვ. ფრანგული გაზეთები „ლო მონდ“, „ფიგარო“, „მატჩი“ და სხვები დაწვრილებით ეხებოდენ საკითხს, ხოლო ამერიკის გაზეთებიდან „ნიუ იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „ჩიკაგო ტრიბუნი“ და სხვები თითქმის ყოველ დღე ათავსებდნენ საინტერესო ცნობებს. პირველ დღეებში გაზეთები იმეორებდნენ მოსკოვის ვერსიას, რომ საქართველოში მომხდარი მღელვარებანი გამოწვეული იყო ქართველების სიმპატიით სტალინისადმი. მაგრამ თან და თან მიღებულმა ცნობებმა მოსკოვის ეს ვერსია დაარღვია. გამოირკვა რომ ქართულ სკოლებში და უნივერსიტეტში რუსული ენის გაბატონებას გამოუწვევია მოწაფეთა ბოიკოტი და პროფესორებს თურმე ცარიელი აუდიტორიები ხვდებოდა. გაზეთ „ზარია ვასტოკა“ აკრიტიკებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ამბობს: უკვე დიდი ხანია საჭირო იყო ზომების მიღება, სტუდენტები სრულიად არ ესწრებოდნენ მარქსიზმ - ლენინიზმ - სტალინიზმის, ისტორიული მატერიალიზმის, რუსული ლიტერატურის და ისტორიის ლექციებს და გატაცებული იყვნენ საქართველოს ძველი ისტორიის სწავლით. საჭიროა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის და შოვინიზმის აღმოფხვრა. საბჭოთა პატრიოტიზმისათვის უცხოა რასიული და ეროვნული სიძულვილი და სეპარატისტული აზრებიო.

ამრიგად, საბჭოთა გაზეთი ადასტურებს, რომ თბილისში საქმე გვქონდა ეროვნული ბრძოლის აქტთან. მაგრამ ეს შეტაკება არ იყო მხოლოდ თბილისის მოსახლეობის და სტუდენტების უკმაყოფილების შედეგი. უკმაყოფილება დუღდა მთელ საქართველოში. მოსახლეობამ რუსობას ბოიკოტი გამოუცხადა. ახდილად და ხმა მაღლა რუსების კრიტიკა და აქტიური წინააღმდეგობის აქტები გახშირდა. ქართველი ერის ცხოვრების ყოველ დარგში რუსის ჩარევამ და რუსიფიკაციის უხეშმა პოლიტიკამ მთელი ხალხი აღაშფოთა და ამ საერთო განწყობილების გამომსახველად, პირველი ბრძოლის მიმცემად სტუდენტობა გამოვიდა. პირველი შემთხვევა არ არის რომ ქართველი სტუდენტები ბრძოლის მედროშედ გამოდიან. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პირველი ახდილი დემონსტრაციები ქართველმა სტუდენტებმა მოაწყეს 1922 წელს. შემდეგ სტუდენტობა გვერდით ამოუდგა მუშებს და სტუდენტთა საერთო კრების რეზოლუცია კატეგორიულად მოითხოვდა დაპატიმრებულ მუშათა დელეგაციის განთავისუფლებას და ქართველი მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ოკუპანტები სასტიკად მოექცნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდებს — დაიწყო საუკეთესოთა გაციმბირება! მას შემდეგ 35 წელი გავიდა და მოსკოვს ქართველების წინააღმდეგობა ჩაკლული ეგონა.

მოსტყუვდა მტერი! ქართველ სტუდენტებს თავიანთი მებრძოლი ტრადიციები არ დავიწყებიათ და არც თბილისის მოსახლეობას აუღია ხელი თავისი ვინაობისა, ენისა და თავისუფლების დაცვისაგან!

რა მსხვერპლი გაიღო მარტში საქართველომ? თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ წითელ არმიელების რუსული ნაწილები ტანკებითა და ტყვიამფრქვევებით. „ნიუ იორკ ტაიმსის“ ცნობით ქუჩებში დახოცილთა რიცხვი 100 უდრის. მაგრამ სხვა და სხვა ქვეყნების დიპლომატების ცნობით დაჭრილ - დახოცილთა რიცხვი 300-ს აღემატება! და ეს მხოლოდ თბილისში. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს — დაჭრილ-დახოცილთა რიცხვის მიხედვით — თუ რა სასტიკი და თავგანწირული ბრძოლა მომხდარა. აჯანყების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში, სრულიად სანდო ცნობებით, რუსეთისაკენ, ე.ი. ციმბირისაკენ წასულა პატიმრებით დატვირთული **27 მატარებელი**, (საშუალო რიცხვით საბარგო მატარებელში 60 ვაგონია და ვაგონში 40 კაცი) რაც უდრის დაახლოებით **60 ათას კაცს**. საშინელი და თავზარდამცემი ცნობებია!

აჯანყებულებს დაუკავებიათ მრავალი სახელმწიფო დაწესებულება, ფოსტა-ტელეგრაფი და უცდიათ გაერთიანებული ერებისაგან ტელეგრამით დახმარების თხოვნა. ეს გარემოება მოწმობს, რომ ხალხი ნაკლებად არის გარკვეული საერთაშორისო მდგომარეობაში. მაშასადამე გამოსვლები ორგანიზაციულად წინასწარ ნამზადები არ უნდა იყოს, არამედ გამწარებული, მოთმინება დაკარგული ხალხის სპონტანური აფეთქებაა. ამიტომ — და ტრაღედიაც ეს არის — გმირული თავგანწირვის ეს იშვიათი აქტი ფაქტიურ მდგომარეობას მხოლოდ გააუარესებს და ვერ გააუმჯობესებს. მაგრამ არსებობს საკითხის მეორე მხარე: მორალური, ზნეობრივი! და იქ, სადაც მორალს, გმირობას, მაღალი იდეალისათვის თავგანწირვას ფასი არ დაუკარგავს, შეუძლებელია ამ გმირობამ საქართველოსადმი პატივისცემა არ გააძლიეროს და ჩვენი საკითხი აქტუალურად არ აქციოს. ამის მისაღწევად მუშაობა ჩვენი, ემიგრაციის მოვალეობაა. ამ ზღვა სისხლისა და მსხვერპლის წინაშე უნდა დავივიწყოთ ყველა სადავო პოლიტიკური საკითხები და მთელი ჩვენი ენერგია ქართველი ერის ფიზიკური არსებობის დასაცავად საჭირო მუშაობას შევწიროთ. საქართველო იშვიათად მდგარა ასეთი დიდი განსაცდელის წინაშე. ვისაც ეს ესმის, და მართლა ქვეყნისათვის გული სტკივა, ნამდვილ მებრძოლებთან საერთო ენას ადვილად მონახავს.

## თბილისის დაპყრობის 35 წლის თავი

**ბ. ელ. პატარიძის სიტყვა, თქმული პარიზის ქართული კოლონიის კრებაზე.**

საქართველოს და მის უძველეს დედა-ქალაქ თბილისს, მათი არსებობის მრავალ საუკუნეთა მანძილზე, მრავალი მტერი და დამპყრობელი უხილავს. ვისი სისხლიანი ფეხი არ დგმულა „ღვთისმშობლის წილხვდომილ“ საქართველოს გულზედ: თურქმენთა, სპარსთა, არაბთა და მონგოლთა და ერთმორწმუნე რუსთა! ურჯულო მტრები, ხშირად საქართველოს გასაძარცვავად და ასაოხრებლად მოსულნი უკანვე წასულან, ვით წყალნი მათ მიერ ქვიშად ნაქცევ ზედაპირზე. ქართულის გონებითა და ხელით ეროვნული ცხოვრება კვლავ მომაგრებულა, დამყარებულა.

მე-18 საუკუნის მიწურულში მოყვრის ნიღაბით მოსულმა რუსეთმა განიზრახა ქართველი ერის სრული სულიერი და ფიზიკური დამორჩილება, გადაგვარება და ვინაობა დაკარგულის რუსულ სხეულში შეყვანა. რუსეთის იმპერია მის გაუმაძღრობას გადაყვა და საქართველო კვლავ აღსდგა 117 წლის შემდეგ როგორც თავისუფალი ეროვნული სახელმწიფო.

ამდენ მტერთა და დამპყრობელთა დამხვედრ-გამძლე ქართველმა ერმა ისტორიული გამოცდილებით იცოდა თუ როგორ უნდა დახვედროდა ძველი იმპერიალისტური მიზნით, მაგრა ახალი იდეოლოგიითა და დროშით დაბრუნებულ რუსეთს, რომლის წითელმა ჯარებმა, ცეცხლითა და მახვილით აიღეს მისი დედა-ქალაქი. თბილისის დაცემასთან მოჰყვა მთლიანად საქართველოს აღებაც. რუსეთმა კვლავ გააუქმა საქართველოს თავისუფლება და დაამყარა რუსული მმართველობა. ერისადმი ღალატით მათდამი დამსახურებული ქართველი ბოლშევიკების ფორმალური მონაწილეობა მთავრობაში ვერ ფარავდა რუსული იმპერიალიზმის მიზნებს. ამაო იყო მათ მიერ ქართველი ხალხის დაჯერება, თითქოს მხოლოდ რეჟიმი შეცვლილიყოს. თავისუფლება დაკარგულმა ქართველმა ერმა დამპყრობელისადმი თავიდანვე მტრული განწყობილება დაამყარა. დამარცხების დღიდანვე ახალი ბრძოლისა და მომავალი გამარჯვების სამზადისს შეუდგა. ბათუმში, მისი წითელი ჯარის მიერ დაკავების წინა საღამოს შეკრებილი ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი ადგენს: პარტიის მეთაურობა მთლიანად დარჩეს დაპყრობილ ქართველ ხალხთან და დაუყონებლივ შეუდგეს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ქართველი ერის დარაზმვას შემოჭრილი მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად და განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის. მისი წევრები იმავე დღეებში ბრუნდებიან თბილისში თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ქალაქებში მომავალი ბრძოლებისათვის ჯერ სულიერი საფუძვლის ჩასაყრელად. მალე სხვა პოლიტიკური პარტიებიც იზიარებენ მემოსეული მტრის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობას. მათთან შეთანხმებით არსდება საქ. დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც იწყებს და მეთაურობს საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას. მემოსეულ მტერთან შერიგებულთა რაოდენობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ შეიძლება ითქვას, ქართველი ერი ერთობლივ და მთლიანად დაუპირისპირდა მტერს და ამოქმედდა წართმეული თავისუფლების მოსაპოებლად.

იმის შიშით რომ რუსეთიდან არ მოეყვანათ მუშათა და მოხელეთა საჭირო კადრები ქართველი მუშები და ინტელიგენცია დარჩნენ თავ თავიანთ ადგილებზე და განაგრძეს მუშაობა ქარხნებში თუ სახელმწიფო დაწესებულებებში. ასევე მოიქცნენ ქართველი მხედრებიც. შეუძლებელი და მიულებელიც იყო საქართველოში წარმოებული საქმიანობიდან გაქცევა და ამ ასპარეზის უცხოელებისათვის დატოვება. ქართველ ხალხს საკმაო გამოცდილება ჰქონდა, რომ ასეთი შეცდომა არ ჩაედინა და შინაურ ასპარეზზე საქმიანობასთან ერთად, პარალელურად მოეხერხებინა ეროვნულ პოლიტიკური ბრძოლის ღირსეულად წარმოება. სიმართლისადმი პატივისცემა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ერთი სერიოზული ცდაც კი იყო მოხდენილი ქართველ კომუნისტებთან საერთო ენისა და მოქმედების ქართული ასპარეზის გამოსანახავად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შემცდართა კვლავ ქართულ ეროვნულ ასპარეზზე დაბრუნება. სამწუხაროდ მათი დიდი უმრავლესობა მეტად მძიმე რუსული ნალით აღმოჩნდა დაჭედილი და თავიანთ თავს აღარ ეკუთვნოდნენ. ქართულ ასპარეზზე დაბრუნებულ უმცირესობას „უკლონიზმის“ ბრალდების ქვეშ დააყრევინეს თავები.

ქართველი ხალხის სულიერი განწყობილების დასაფასებლად საჭიროა ზოგიერთი მაგალითის მოყვანა: ხალხის მოთხოვნითა და ინიციატივით ახლად დაპყრობილ ქვეყანაში ჩამოდის სტალინი, რომელსაც თბილისის მუშათა დიდ მიტინგზე არ ალაპარაკებენ და ტრიბუნიდან ძირს ჩამოაგდებენ, როგორც ერის გამცემსა და მოღალატეს.

პირველი 26 მაისი ერმა მთლიანი გაფიცვით და სიჩუმით გადაიხადა. შესრულებულ იქმნა პოლიტიკური ხელმძღვანელების მოწოდება 26 მაისს ქალაქის მცხოვრებლები გარედ არ გამოსულიყვნენ. თბილისის ქუჩები უდაბნოს დაემგვანა.

თებერვლის პირველ რიცხვებში „სობოროს“ ეზოში დაკრძალულ იუნკერთა საფლავებზედ სტუდენტთა მეთაურობით, პანაშვიდი იქმნა გადახდილი კათალიკოზ ლეონიდის მიერ. მოზღვავებული ხალხით სავსე იყო სობოროს დიდი ეზო, ახლო-მახლო ქუჩები და მოედნები. ჩეკისტთა და პოლიციის თანდასწრებით სტუდენტთა მიერ ძმათა სასაფლაოზე აღიმართა სამფერი დროშა. პანაშვიდი დიდ დემონსტრაციად გადაიქცა, მთელი რუსთაველის გამზირი აირია, უნივერსიტეტის ეზომდე მიაღწია და იქ კვლავ საპროტესტო მიტინგათ იქცა, რომელიც სტუდენტთა და ჩაკისტთა შორის ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა. იმავე წლის 11 თებერვალს, რუსეთის წითელი ჯარების საქართველოზედ თავდასხმის წლის თავზე, დიდი საპროტესტო მიტინგი გაიმართა ქართულ უნივერსიტეტში, რომელსაც გარს შემოერტყა ჩეკა და ჯარი და სტუდენტთა პოლიტიკური ხელმძღვანელები დააპატიმრეს. თბილისში და პროვინციებში რეპრესიები გააძლიერეს.

მაისის დღეებში საქართველოდან გენუის კონფერენციისათვის, რამოდენიმე ათი ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი საპროტესტო ნოტა გაიგზავნა. მოეწყო ფართო საპროტესტო დემონსტრაციები თბილისში და პროვინციებში. ამ გამოსვლებს თბილისში საგანგებოდ შექმნილი ინტერპარტიული კომიტეტი ხელმძღვანელობდა. დემონსტრაციებისათვის დანიშნულ დღეს თბილისის ქუჩები და მოედნები დილა ადრიანა ჯარისა და ჩეკის ნაწილებით იყო დაკავებული. 11 საათზე ასტყდა მთელი თბილისის სამრეკლოებიდან ზარების რეკა, რასაც ბანს აძლევდა ქარხნების საყვირები, ნიშანი გამოსვლებისა. დაიცალა დაწესებულებები, ქარხნები, უნივერსიტეტი და სკოლები. ყველამ სადემონსტრაციოდ დანიშნული მოედნებისაკენ მიაშურეს. მოედნები დაკავებული დახვდათ ჩეკისა და ჯარის მიერ. მაინც მოხერხდა რამდენიმე მიტინგის გახსნა და მათ შორის უმთავრესი წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში, რომელსაც გარს შემოერტყა ჩეკა. ხელჩართული ბრძოლის შემდეგ მიტინგის მეთაურები დააპატიმრეს და მათთან ერთად ორასამდე კაცი და ქალი.

ქართველი ხალხის ნებისყოფა, სითამამე, ბრძოლის უნარი და სურვილი რომ სავსებით წარმოვიდგინოთ, ამ ამბებს თვით მეტეხის ციხეში მოწყობილი საპროტესტო მანიფესტაციებიც უნდა მიუმატოთ, რომელთაგან ყველაზედ მნიშვნელოვანია 1922 წ. ნოემბერში მომხდარი. ასამდე ქართველის გადასახლების ღამეს, მთელი ციხის წინა და უკანა „კორპუსი“ ნამდვილ აჯანყებას აწყობს. შესავალ კარებში და კიბეებზედ აკეთებს ბარიკადებს. ცარიელი ბოთლებით თუ რკინისა და ხის ჯოხებით ხვდება ეზოში შემოყვანილი ჯარის ნაწილს, რომელსაც დავალებული აქვს გადასახლებულთა გაყვანა. ჩვენ მათ არ ვანებებთ. ეს უსწორო ბრძოლა თითქმის ორი-სამი საათი გრძელდება. თოფების ხმამ და ჯოჯოხეთურმა ყვირილმა ჩაძინებული თბილისიც გამოაღვიძა. გათენებისას გადასახლებული ძმები გამოიყვანეს — ჩვენმა წინააღმდეგობამ ვერ გასჭრა. — გადასახლებული ძმები „დიდების“ სიმღერით გავაცილეთ ციხის შავ კარებამდე ცივი რუსეთისაკენ.

ციხიდან დასახვრეტად გასაყვან ჯგუფს, თუ შეიძლება ითქვას, სამგლოვიარო გაცილებას უწყობდით — ეს იყო რაც ტუსაღებს ჯერ კიდევ შეგვეძლო. — გამახვბულთ ორსართულიანი ციხის ფანჯრებიდან თავს დავყურებდით და დიდების სიმღერით ვაცილებდით.

ასე გავაცილეთ სექტემბერში კახელთა ჯგუფი. მეორე დილით, ჩვეულებრივად ზარის ხმაზე ეზოში გავედით. იღება კანცელარიის კარები, გამოდის კომენდანტი შულმანი, რომლის თეთრ ხალათს ზედ გულ-მკერდზე, ალბათ მის მიერ ტყვია ნაკრავის სისხლის ვარსკვლავი აჩნია. ტუსაღებმა ერთხმად იღრიალეს და ვით ერთი კაცი მისკენ გაეშურნენ. ჯალათი უკან შებრუნებული კურდღელივით გადახტა და კანცელარიაში შეასწრო, შეიარაღებულ ციხის მცველებს შეაფარა ცოდვილი თავი.

ასეთი ციებ-ცხელებისა, მღელვარებისა, წინააღმდეგობისა და ბრძოლის სულით მეტად დამძიმებულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა დაპყრობილი თბილისისა და მთელი საქართველოს ცხოვრება პირველი დღიდანვე. ბრძოლის ველზე დამარცხებული ერი ილვიძებს და ახალი ბრძოლისათვის ემზადება. სვანეთის პირველი აჯანყება, რომელსაც ე. გაბლიანი და ბიძინა პირველი ხელმძღვანელობდნენ მზის სხივებს მოჰფენს ქართველთა გმირობისა და ვაჟკაცობის სახელს, უკანასკნელმა ომმა რომ უსამართლოდ ჩრდილი მიაყენა. იმედს ულვიძებს ქართველ ხალხს და მომავალი გამარჯვებისაკენ მოუხმობს. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ბრძოლები თიანეთ ხევსურეთის მთებში რუსის ჯარის წინააღმდეგ, ხალხში ბრძოლის სულს აღვივებს და უცხო მტრისაგან განთავისუფლების იმედებს აძლიერებს.

რუსეთის ხელისუფლება საშინელი სისასტიკით და შურის ძიებით უპასუხებს ქართველთა წინააღმდეგობის აქტებს. ციხეები და ჩეკის სარდაფები სავსეა სვანეთიდან, გურია სამეგრელოდან, იმერეთიდან, ქართლ-კახეთიდან თუ თიანეთ ხევსურეთიდან ჩამოყვანილი ტუსაღებით. „სამხედრო ცენტრის“ დახვრეტიდან, საბურთალოს ძმათა სასაფლაოს პირი არ დაუხურავს და რუსის ჯალათთა თოფის სროლა არ შეწყვეტილა.

ასე დღიდან დღემდე იზრდებოდა და მზადდებოდა ის დიდი ეროვნული მოძრაობა, რომელიც „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ხელმძღვანელობით სწარმოებდა და 1924 წლის აჯანყების სახელით მოინათლა და რამოდენიმე ათასი ქართველის წმიდა სისხლში განიბანა. ეს სისხლი ჯერაც არ გამშრალა. მას დღემდე ყოველდღიურად, საქართველოს ყოველი კუთხიდან ახალი სისხლის ნაკადები ერთვის და აძლიერებს.

„რა არ გადგვხდა, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე. რა კბილთა ღრჭენა არ გამოგვივლია, მაგრამ ყველას გაუძელით. გაუძელით რადგან დროის შესაფერი ძალაც გვქონდა დ ახერხიც ვიცოდით“ო, ამბობს ქართველი ერის სულიერი მეთაური დიდი ილია. უნდა ვიმედოვნოთ რომ ეს თვისებები ჯერაც არ დაუკარგავს ქართველ ერს. „თავის ისტორიის გრძელ გზაზედ ჩვენ ერს არა ერთხელ განუცდია დაცემა, დაქვეითება თუ აღდგენა და აღორძინება“ — ამბობს ილიას სულიერი შვილი ალ. ასათიანი.

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზე გადაუვლია!
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიან გზაზე შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია რომ ათას წელთა ბრძოლა მედგარი,
გამოევლოს და სრულად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ მარტო შენ! მაგალითი სხვა არსად არი
რომ სხვა ქვეყანას, სხვა ერსა ეგ შესძლებიყოს...“

გვწამდეს ჩვენც, რომ თბილისი ერთხელ კიდევ აღსდგება საქართველოსთან ერთად ვით მისი მარადიული დედა-ქალაქი.

## ერთობის კრება

18 იანვრის თარიღით ბ-ნმა ლეო დუმბაძემ კერძო წერილებით მიმართა შ. შტატებში მცხოვრებ ქართველობას (იხ. „ქართული აზრი“ №4), რათა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ეროვნული ერთობის ორგანიზაციის შექმნის შესახებ. შ. შტატებში მცხოვრები ქართველების დიდი უმრავლესობა კმაყოფილებით შეხვდა ამ თაოსნობას და წინასწარი ხელის მოწერით დაადასტურა თავისი სურვილი, რომ მზათაა ჩადგეს ერთობის ორგანიზაციის რიგებში და შესაძლებლობის მაქსიმუმი მიუძღვნას სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. წინასწარი თათბირებისა და მოლაპარაკებების შემდეგ ბ. დუმბაძემ მოიწვია ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, მარტის 25-ს. კრება გახსნა თვით ინიციატორმა და სთხოვა დამსწრე საზოგადოებას აერჩიათ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

ერთხმად არჩეულ იქმნენ კრების თავმჯდომარედ ბ-ნი დ. სინდიკელი და მდივნად ბ. ალექსი ჩხენკელი. ბ. სინდიკელმა გააცნო საზოგადოებას კრების მიზანი და დასძინა: „დღევანდლამდე კრების თავმჯდომარეობა მიმაჩნდა საპატიო მოვალეობად, მაგრამ ეხლა-კი, როდესაც საზოგადოებას განუზრახავს ერთი მთლიანი ეროვნული ორგანიზაციის შექმნა, რომელზედაც შეიძლება დაშენდეს შ. შტატებში ქართული საქმიანობა და გახდეს მნიშვნელოვან ფაქტორად ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კრების თავმჯდომარეობა მიმაჩნია არა მარტო საპატიო, არამედ საამაყო და ბედნიერ მოვალეობად. ამიტომ საზოგადოებას ულრმეს მადლობას მოვახსენებ“ო. შემდეგ სიტყვა მისცა ბ. ლ. დუმბაძეს (იხ. აქვე).

ბ. ლ. დუმბაძის შემდეგ სიტყვა მიეცა ბ-ნ ალ. ცომაიას, რომელმაც გააცნო საზოგადოებას ერთობის პროგრამის დებულებები. შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასასრულს კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „კრებამ მოისმინა ბ-ნ ლ. დუმბაძის მოხსენება, პროგრამის პროექტი და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა შეიქმნას ქართული ეროვნული ერთობის ორგანიზაცია პროგრამაში აღნიშნული პრინციპებისა და გეგმის მიხედვით. არჩეულ აღმასრულებელ ორგანოს, კომიტეტს, ევალება ამ იდეების პროპაგანდა ქართველთა შორის და მომავალშიც ყველა პოლიტიკურად და მორალურად საღი ადამიანების გაერთიანებისათვის მუშაობის გაგრძელება.“

ამის შემდეგ არჩეულ იქმნა შვიდი კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი ორგანო.

საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა კრების თავმჯდომარეს, უსურვა ახალ ორგანოს ნაყოფიერი მუშაობა და კრების საქმიანი და მეგობრული ატმოსფერით კმაყოფილი დაიშალა საღამოს 6 საათზე.

## ბ-ნ ლ. დუმბაძის სიტყვა

**ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!**

ულრმეს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადა და ჩემს მიმართვას კეთილად გამოეხმაურა. მართალია, ჩემი ოცნება არ გამართლდა და ქართველობა ერთ პირად, ერთ ხმად არ დადგა ეროვნული ერთობის ნიადაგზე და ერთი მცირე წრე კვლავ დარჩა ჩვენს გარეშე, რომელთა შორის ეჭვ მიუტანელი მამულიშვილებიც ურევია, მაგრამ ჩვენი სურვილია მომავლისთვისაც არ მოვაკლოთ ცდა, რათა მათაც დასძლიონ პირადი მოსაზრებები და საერთო ეროვნული ინტერესებს დაუმორჩილონ გულის თქმა. დარწმუნებული ვარ არც ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი არ დარჩება გულხელ დაკრეფილი და ყველა შეეცდება თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმეში. ჩვენი ვალია მათ გაუადვილოთ იმ ორგანიზაციასთან მისვლა, რომლის ერთად ერთი ინტერესი ჩვენი სამშობლოს კათილდღეობაა. ეს იქნება ერთი საზრუნავი იმათი, ვისაც დღეს დაფუძნებული ორგანიზაცია დააკისრებს თავის ხელმძღვანელობას.

აქ შეკრებილ საზოგადოებას — ამაში იგულისხმება ისინიც, ვინც გაიზიარეს ჩვენი მოსაზრება მაგრამ საპატიო მიზეზების გამო კრებას ვერ დაესწრნენ —ბედმა არგუნა იყოს დამფუძნებელი იმ ორგანიზაციის, რომელსაც უნდა ეწოდოს „საქართველოს ეროვნული ერთობის ორგანიზაცია“ და რომელიც შეიძლება გახდეს ჩვენი ეროვნული ბრძოლისა და ეროვნული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი. თუ გადავხედავთ არა ამარტო ქართულ და ამერიკულ, არამედ მთელ მსოფლიოში არსებულ ყველა სერიოზულ პოლიტიკურ მიმდინარეობების ისტორიას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, მისი ცხოველმყოფელობა და მოქმედების უნარიანობა დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: 1. თუ მისი მიზანდასახულობა რეალურია და აკმაყოფილებს მოვლენათა ვითარების და თანამედროვეობის მოთხოვნილებებს.; 2. რამდენად მისი მეთაურობა მომზადებული და მოწოდებულია საქმეთაუროდ და რამდენად მას აღმოაჩნდება პოლიტიკურ მოვლენათა შეფასების უნარი და პოლიტიკური ალლო. ეს ორი წინასწარი პირობაა საჭირო, რათა დღეს დაფუძნებული ორგანიზაცია გადაიქცეს ქართული საქმის, ქართული ეროვნული უფლების ფხიზელ გუშაგად.

როგორც ჩემს მიმართვებში აღვნიშნე, საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ მსოფლიო ორ იდეოლოგიურ ბანაკად არის გაყოფილი და ერთი მეორეს დაპირდაპირებულია ორი კონცეპცია: კომუნისტურ აგრესიული, რომელიც წარმოიშვა რუსეთში, განმტკიცდა რუსის ხიშტით და გადაიქცა უსამართლოსის, მოხობის, სილატაკის და მსოფლიო არეულობის მიზეზად. მისმა განვითარებამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია და დღეს ემუქრება მთელ კაცობრიობას დამონებით და წალეკით. მეორეა, დასავლეთის და კერძოდ ამერიკის დემოკრატიული კონცეპცია, რომელიც მსოფლიო მშვიდობიანობის და უშიშროების დარაჯად იქცა და ერთა განთავისუფლებასთან ერთად იცავს ადამიანის, როგორც უმაღლესი ქმნილების უფლებას და დაშენებულია იმ მყარ საფუძველზე, რომ „ადამიანები იბადებიან თანასწორნი და მათ ღმერთმა მიანიჭა არსებობის და უკეთესობისაკენ ლტოლვის უფლება“.

ამ მსოფლიო დაპირისპირებაში საქართველოს ადგილი თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნებთან არის. ჩვენ ჩვენი გონიერი, მოზომილი და ენერგიული მოქმედებით უნდა მოვიპოვოთ საპატიო ადგილი თავისუფალ ქვეყნებს შორის და ჩვეხს სამშობლოს დაუმკვიდროთ ის ბრწყინვალე მომავალი, რომელსაც მისი ორი ათას წლოვანი თვით არსებობისათვის გმირული ბრძოლებით სავსე ისტორია აკუთვნებს.

ჩემს მიმართვაში ისიც აღვნიშნე, რომ მოთხოვნილებას ველარ აკმაყოფილებს დღევანდლამდე არსებული კომიტეტების სამოქმედო პროგრამა და საჭირო შეიქმნა თავისუფლებისათვის მებრძოლ კაცობრიობას და განსაკუთრებით კი ამერიკულ საზოგადოებრივ აზრს და დაინტერესებულ უწყებებს გავაცნოთ არა მარტო ის, რომ ვიბრძვით აგრესიული კომუნიზმის და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არამედ ისიც უნდა ვთქვათ, საერთო ხაზებში მაინც, თუ როგორა გვაქვს წარმოდგენილი თავისუფალი საქართველოს ცხოვრება და მისი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება უცხოელებთან ჩვენი ურთიერთობისათვის, რადგან ეს არის მაჩვენებელი არა მარტო ჩვენი, არამედ ჩვენი მშობლიური ერის სიმწიფისა. ამიტომ, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს, ისე ორგანიზაციის ყოველ წევრს დიდი სიფრთხილე მართებს სამოქმედო გეგმის და პრინციპიალური იდეური ხასიათის საკითხების დამუშავების დროს. ამაზედ უნდა დაშენდეს ჩვენი მოქმედება და ამის მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვაფასებს მტერიც და მოყვარეც და ეს უნდა გავიტანოთ თავისუფალი ქვეყნების წინაშე. ეს იქნება ჩვენი ეროვნული თვითშეგნების და ეროვნულად მომწიფების სიგელი.

როდესაც მთელი კულტურული კაცობრიობა ირაზმება რუსული იმპერიალიზმისა და კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენ, მათ პირველ მსხვერპლებს არ გვძართებს გულხელდაკრეფილი ჯდომა და ზანტად მოვლენებისათვის თვალყურის დევნება. ჩვენი ადგილი ბრძოლაშია და ბრძოლის ზომიერებისა და გონიერებისათვის საჭიროა ეროვნულ ძალთა ერთობა, რათა მებრძოლთა შორის საპატიო ადგილი დავიჭიროთ და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს მხარის დამჭერი და დამცველები გაუმრავლოთ. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენს საქმეს ბევრი მტრები ჰყავს. გარდა კრემლისა ჩვენი ხელის შემშლელი იქნება თავისუფალ ქვეყნებში არსებული ყოველი ოფიციალური თუ არა ოფიციალური ორგანიზაციები, რომლებსაც მოსკოვი უხვად ქმნის თავის სარგებლიანობისათვის. ამას ზედ დაემატება რუსეთის მრავალ რიცხოვანი ემიგრაცია, რომელიც მთელ მსოფლიოშია გაბნეული და ზოგიერთ ქვეყანაში კიდეც ფეხ მოკიდებულია. მათთვის, როგორც კრემლისათვის ყოველგვარი ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლა ბოროტი მოვლენაა და ყოველი მათგანის ცდა იქნება შეაფერხოს ეროვნებათა სამართლიანი მისწრაფება. ეს გარემოება უფრო მეტად გვავალდებულებს ეროვნულ ძალთა გაერთებას, ეროვნული ენერგიის მაქსიმალურად გამოსაყენებლად.

საჭიროა მთელ მსოფლიოს და კერძოდ ანტიკომუნისტურ ძალებს დოკუმენტალურად დაუმტკიცოთ, რომ „საბჭოთა კავშირი" არ არის ეროვნებათა ნებაყოფლობითი შეკავშირება, არამედ ის არის შედეგი უსამართლობის და ძალ-მომრეობის. . ისტორიიული ფაქტია, რომ ოქტომბრის რევოლუციას რუსეთში ჰქონდა ადგილი .და მან იქ გაიმარჯვა. ამ დროს რუსეთის იმპერიაში მოქცეული არა რუსი ერები სრულებითაც არ ფიქრობდნენ კომუნისტურ რევოლუციაზე და თავის სახელმწიფო აპარატს ისტორიული ტრადიციების მიხედვით აწყობდნენ. კერძოდ საქართველო დაპყრობილ იქმნა რუსის ჯარის მიერ 1921 წლის თებერვალში და მას არავითარი რევოლუცია არ განუცდია, ხოლო იმავე წლის დეკემბერში მოსკოვმა რუსული იმპერია გამოაცხადა „საბჭოთა კავშირად" რათა თავის იმპერიალისტურ აგრესიული ზრახვებისათვის ნიღაბი ჩამოეფარებინა. ის ფაქტი რომ დღეს ამ ზღაპარს აღარავინ იმეორებს და არც აღარავინ იჯერებს, ჩვენი სასარგებლო მომენტია და ეს ნაწილობრივ გაგვიადვილებს მოქმედებას. არის უტყუარი ნიშნები, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს და მათ სამართლიან მოთხოვნილებებს ახლო მომავალში გაუჩნდება ძლიერი მფარველი, დამხმარე და ხელის შემწყობი ორგანო და ამით მოგვეცემა საშუალება ეროვნულ და საკაცობრიო სამართლიანობისათვიის წარმოებულ ბრძოლებში უფრო მნიშვნელოვნად ჩავერიოთ.

ასე მესმის მდგომარეობა და ჩემის აზრით, აქედან უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკა.

ჩემის აზრით დღეს დაფუძნებული ორგანიზაციის გარდაუვალი მიზანი უნდა იყოს:

1. საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა და მისი ეროვნული უფლებების დაცვა.
2. საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლიანობის საკითხია და იურიდიულად იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა ეროვნულ - სახელმწიფოებრივობა სადაო არ არის და მათი ავტომატიური აღდგენა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევის ვადით განისაზღვრება.
3. ჩვენი ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლა უნდა დაეყრდნოს ანტიკომუნისტურსა და ანტი იმპერიალისტურ ძალებს.
4. ამ მიზნით ორგანიზაცია უნდა დაუკავშირდეს ყველა იმ ერების ემიგრაციებს, რომლებიც რუსეთმა ან მეორე ომის წინ ან მეორე ომის შემდეგ დაიპყრო.
5. ჩვენი ორგანიზაციის მოქმედება უნდა შეუფარდოთ ყველა იმ ქვეყნების საქმიანობას, რომლებიც გარკვეულად დგანან ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნიადაგზე.
6. ხელმძღვანელი ორგანო უნდა ეცადოს კარგი ურთიერთობა დაამყაროს მსოფლიოში გაბნეულ ქართველობასთან და ხელი შეუწყოს საემიგრაციო ცენტრის შექმნას.

პროგრამის პროექტი

# ქართული ეროვნული ერთობა

ქართველი ერის კულტურული და სოციალ-პოლიტიკური განვითარების გზები მუდამ ემთხვეოდა დასავლეთ ევროპის ქრისტიანული ქვეყნების განვითარების გზებს. ევროპაში და საქართველოში გაბატონებული ფეოდალური წყობილება ერთმანეთს გავდა არა მარტო პოლიტიკური პრინციპებით არამედ ორგანიზაციული წყობის დეტალებითაც. ფეოდალური ეპოქის გადავარდნის შემდეგ საქართველოშიც იგივე პოლიტიკური და სოციალ ეკონომიური იდეები ვრცელდება, რომლებიც ფლობდნენ ევროპას და ევროპის ყოველი იდეური მოძრაობა გამოძახილს და მომხრეებს პოულობს ჩვენშიც.

კულტურული განვითარების გზების და პოლიტიკური იდეების ასეთი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ მომავალშიც ქართველი ხალხის განვითარების გზა ისეთივე იქნება, როგორიცაა ცხოვრების მიერ გამართლებული გზა ევროპა-ამერიკის დემოკრატიისა.

ცნობილია, რომ დემოკრატიულმა წყობილებამ და კანონ-მდებლობამ საუკეთესო შედეგებს მიაღწია შეერთებულ შტატებში, სადაც კერძო ინიციატივის თავისუფლებაზე აშენებული საზოგადოების ცალკე წევრთა პოლიტიკურმა თავისუფლებამ და ქონებრივმა კეთილდღეობამ სხვა ქვეყნებისას ბევრად წინ გაუსწრო. ჩვენ ბედმა გვარგუნა შ. შტატებში ცხოვრება, სადაც საკუთარი თვალით ვხედავთ ამერიკელ მოქალაქეთა კეთილდღეობას და რადგან ამავე დროს ვფიქრობთ ქართველი ერის მომავალზე და კეთილდღეობაზე, ჩვენი მოვალეობაა ქართველ ხალხს გავაცნოთ ამერიკული დემოკრატიის თეორია და პრაქტიკა, როგორც უკვე ნაცადი და გამართლებული გზა ადამიანისა და ერის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროდ მიგვაჩნია შეიქმნას ამერიკაში მცხოვრებ ქართველებისაგან პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად დაისახავს კერძო საკუთრების საფუძველზე და კერძო ინიციატივის თავისუფლებაზე დამყარებული ეკონომ. წყობის და დემოკრატიული, პარლამენტარული იდეების პროპაგანდას მომავალ, თავისუფალ საქართველოში.

ქართული პოლიტიკური პარტიის პროგრამის დამუშავება ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ საქართველოში, ცხოვრების ყოველ დარგში არსებული რეალური პირობებისა და მოთხოვნილებების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, მაგრამ აქ, უცხოეთში შეგვიძლია მიღება ზოგადი პრინციპებისა, რომელთა განხორციელება აუცილებელი იქნება ყოველ პირობებში. ამის მიხედვით, ჩვენი მიზნები სქემატიურად შემდეგნაირად გვესახება:

ორგანიზაციის სახელწოდება: **ქართული ეროვნული ერთობა.**

1. საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის მოწყობა საყოველთაო, ფარული და თავისუფალი არჩევნების საფუძველზე.

2. ქართველი ერის სუვერენობის დაცვა და განმტკიცება.

3. შინაგანი წესრიგისა და დემოკრატიული კანონების დასაცავად ადმინისტრაციის და დამოუკიდებელ სასამართლოს შექმნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით.

4. სახელმწიფოებრივი არსებობის უზრუნველსაყოფად ქართული რეგულარული ჯარის შექმნა.

5. კავკასიელ ერებთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

6. საკონცენტრაციო და იძულებითი შრომის ბანაკების გაუქმება.

7. პოლოტიკური საიდუმლო პოლიციის (ნ.კ.ვ.დ.) გაუქმება.

8. პოლიტიკური დანაშაულისათვის კომუნისტების მიერ დასჯილთა განთავისუფლება და მათი მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

9. პოლიტიკური დანაშაულისათვის სიკვდილის სასჯელის გაუქმება.

10. პიროვნების და ოჯახის ხელშეუხებლობა.

11. თავისუფლება პრესის, სიტყვის, კრების, ორგანიზაციის და პროფკავშირების.

12. პოლიტიკური უფლებები ენიჭება საქართველოს მოქალაქეს ორივე სქესისას (სრულწლოვანს).

13. კომუნისტური დოქტრინა ცხადდება კანონს გარეშე.

14. კლასთა შორის თანამშრომლობის და სოციალური ზავის და ჰარმონიის დამყარება.

15. კერძო საკუთრების უფლების აღდგენა.

16. კერძო მესაკუთრის მიწის ფართობი განსაზღვრულია დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით.

17. კოლმეურნეობების გაუქმება.

18. ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც ამჟამად ეკუთვნის საბჭოთა სახელმწიფოს ან სოვხოზს ცხადდება ერის საკუთრებად და გადადის ეროვნული მთავრობის განკარგულებაში, რომელიც ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტთან ერთად დაამუშავებს ამ ქონების საექსპლოატაციოდ საჭირო გეგმებს.

**სოფლის მეურნეობა.**

19. სოფლის მეურნეებისათვის ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად სახელმწიფომ უნდა შეჰქმნას საგანგებო ფონდი და სასოფლო სამეურნეო ბანკები გრძელვადიანი სესხის გასაცემად. შესაფერისი კანონმდებლობით სახელმწიფო ხელს უწყობს ყოველი მეურნე გახდეს შეძლებულ მესაკუთრედ.

**შრომის ორგანიზაცია.**

20. ყოველი დარგის მუშა - მოსამსახურეს ენიჭება უფლება: ნებისმიერად აირჩიოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. პროფ. ინტერესების დასაცავად მიმართოს გაფიცვას. ყოველ მშრომელს კანონით დაწესებული ასაკის შემდეგ ეძლევა პენსია, რომლის რაოდენობას საზღვრავს პარლამენტი პროფ-კავშირებთან შეთანხმებით. ყოველი მშრომელი უბედური შემთხვევისა და ავადმყოფიბის დროს უზრუნველყოფილია უფასო საექიმო დახმარებით და წამლებით. მარცხის შემთხვევაში, თუ მუშა კარგავს შრომის უნარს ან კვდება, მისი ოჯახი იღებს კომპენსაციას კანონით დადგენილი რაოდენობით. ყოველ მშრომელს უმუშევრობის დროს სახელმწიფო აძლევს დახმარებას. 40 საათიანი სამუშაო კვირის და კოლექტიური კონტრაქტების შემოღება. მუშა-მოსამსახურე ქალი სარგებლობს იმავე უფლებებით და იღებს იმავე ხელფასს, რასაც იმ კატეგორიის მამაკაცი. მუშა მოსამსახურე ქალი ორსულობის დროს იღებს უფასო საექიმო დახმარებას და ჯამაგირიან შვებულებას. ყოველი მშრომელის მეოთხე და შემდეგი შვილების აღზრდის ხარჯებს კისრულობსს სახელმწიფო. ყოველ მშრომელს ეძლევა ყოველწლიური ჯამაგირიანი შვებულება. მცირეწლოვანების შრომით სარგებლობის აკრძალვა. დამქირავებელსა და პროფკავშირებს შორის კონფლიქტს არჩევს სასამართლო.

**განათლება.**

21. ორივე სქესის ბავშვებისათვის უფასო და სავალდებულო საშუალო განათლება. უმაღლესი განათლება სურვილისამებრ.

**რელიგია.**

22. ეკლესიას უბრუნდება კომუნისტების მიერ წართმეული უფლებები. ყველა რელიგიებისათვის ცხადდება თავისუფლება. ეკლესია რჩება სახელმწიფოდან გამოყოფილი, მაგრამ საერთო კანონმდებლობის გზით სახელმწიფო ხელს უწყობს რელიგიის განმტკიცებას.

**ვაჭრობა-მრეწველობა**

23. სახელმწიფო ხელს უწყობს კერძო ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინებას.

**უცხოეთში მუშაობა**

24. ორგანიზაცია უკავშირდება ისეთ დაწესებულებეს, რომლებიც სცნობენ ერების დამოუკიდებლობის უფლებას, როგორც მაგალითად გაერთიანებული ერები, შ. შტატების სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები და საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების ანტიკომუნისტური ორგანიზაციები.

25. ამყარებს კავშირს ქართულ ეროვნულ ორგანიზაციებთან და აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

26. ორგანიზაცია იყენებს ყველა ლეგალურ გზებსა და საშუალებებს, რათა შ. შტატების საზოგადოებრივ აზრსა და დაინტერესებულ დაწესებულებებს გააცნოს საქართველოს წარსული და აწმყო.

27. გააცნოს ქართველობას შ. შტატების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური იდეები.

***

**ორგანიზაციის წესდება**

ორგანიზაციის წევრად შეიძლება გახდეს ყოველი ქართული წარმოშობის ადამიანი, განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა, ვისაც სწამს საქართველოს დამოუკიდებლობა და აკმაყოფილებს ქვემოდ ჩამოთვლილ პირობებს:

1. უარყოფს კომუნისტურ იდეოლოგიას მის ყველა ფორმებში.

2. სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია დემოკრატიული წყობილება.

3. პოლიტიკური ან სისხლის სამართლის დანაშაულისათვის არ დაუკარგავს სამოქალაქო უფლებები.

4. კომუნისტებთან არა აქვს არც იდეური და არც ორგანიზაციული კავშირი (აქ იგულისხმება გარდა კომუნისტური პარტიისა ყველა ის ფარული და ლეგალური ორგანიზაციები, რომლებსაც ან იდეურ ან ფინანსიურ დახმარებას უწევს საბჭოთა სახელმწიფოს რომელიმე ორგანიზაცია).

5. აბსოლუტურად დაჯერებულია კომუნისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლის საჭიროებაში და მზად არის ამ ბრძოლაში თითონაც მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

6. ყოველი ახალი წევრი ერთი წლის განმავლობაში ითვლება კანდიდატათ. სრულუფლებიან წევრად ამტკიცებს ორგანიზაციის საზოგადო კრება.

7. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა წევრთა საზოგადო კრება, რომელიც ნორმალურად ხდება წელიწადში ერთხელ. საზოგადო კრების რიგს გარეშე მოსაწვევად საჭიროა კომიტეტის გადაწყვეტილება, ან ორგანიზაციის წევრთა სამი მეოთხედის სურვილი.

8. ორგანიზაციის კომიტეტი ირჩევა ორი წლით და მოქმედობს საზოგადო კრების მიერ მოწონებული გეგმის ფარგლებში. კომიტეტს აქვს კოოპტაციის უფლება.

9. გარეშე ორგანიზაციებთან ურთიერთობის დროს და საჯარო კრებებზე ორგანიზაციას წარმოადგენს კომიტეტის თავმჯდომარე ან კომიტეტის მიერ დანიშნული პიროვნება.

10. ორგანიზაციის საარსებო წყაროა ნებაყოფლობითი შემოწირულებანი.

11. ორგანიზაციის გასაუქმებლად საჭიროა მის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში მისი ქონება გადაეცემა იდეოლოგიურად მონათესავე ჯგუფს.

12. **ეროვნული ერთობის** ორგანიზაციის მთავარი სადგომი ამჟამად ნიუ იორკია.

•••

პროგრამის პროექტი შესავსებად და შესწორებათა შესატანად უკვე ექვსი თვეა დაეგზავნათ ქართულ ორგანიზაციებსა და ცალკე პასუხისმგებელ პირებს. მიღებულია ორმოცამდე შენიშვნა და შესწორება. ზოგიერთები პრინციპიალურად საწინააღმდეგო აზრებს გამოსთქვამენ. ასე მაგალითად, ერთნი მოითხოვენ პოლიტიკური დანაშაულისათვის სიკვდილის სასჯელის გაუქმებას, ხოლო მეორენი მის დატოვებას. ყველა მიღებული შენიშვნების შეთავსება და საბოლოვო რედაქციის შემუშავებას კისრულობს კომიტეტი და სთხოვს ამ საქმით დაინტერესებულ ყველა ქართველს გვაცნობოს მისთვის სასურველი ცვლილებების შეახებ. ჩვენი სურვილია ეს დებულებები იყოს ქართველების უმრავლესობისათვის მისაღები.

---

გთხოვთ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს წევრები შეარჩიოთ ეროვნული ბრძოლის სარგებლიანობის თვალსაზრისით.

გთხოვთ არჩევნების დროს მხედველობაში მიიღოთ სხვა შტატებში მცხოვრები ქართველებიც, რომლებიც თავიანთი ღირსებებით უპასუხებენ მოთხოვნილებას. ასეთები ერთსა და იმავე დროს იქნებიან ჩვენი ხელმძღვანელ ორგანოს წევრები და ამავე დროს ჩვენი წარმომადგენლები თავ-თავიანთ შტატებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკანური პარტიის ისტორიიდან

ამერიკის რესპუბლიკანური პარტია, დღევანდელი გაგებითა და იდეოლოგიით პირველად წარმოიშვა 1854 წელს და აღიზარდა და განვითარდა ჩრდილოეთის შტატების ანტი-მონათ მფლობელურ გრძნობებზე. 1860 წელს |რესპუბლიკანელებმა შ. შტატების პრეზიდენტათ აბრამ ლინკოლნი აირჩიეს. ლინკოლნის მართველობის დროს მონათმფლობელობის პრობლემა მთავარ სახელმწიფოებრივ საკითხად გადაიქცა და კიდეც გადაწყდა. სახელმწიფომ გადაიტანა სამოქალაქო ომის საშინელება, რომელმაც განსაცდელში ჩააყენა შტატების კავშირის სიმტკიცე. ომის დამთავრებას თან მოჰყვა ყოფილი მონების სრულუფლებიან მოქალაქეებად გახდომა. შტატებს შორის ომს გადარჩენილი სახელმწიფო ეხლა სხვა საშინაო პრობლემის წინაშე დადგა: სამოქალაქო ომმა დააჩქარა სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაცია. რესპუბლიკანურმა პარტიამ მიზნად დაისახა ახლად ჩასახული, ჯერ კიდევ უხერხემლო მრეწველობა „მფარველობის ტარიფებით“ დაეცვა საზღვარ გარეთელი კონკურენციისაგან. მან დახმარებისათვის მიმართა ყველას, ვისაც-კი კერძო ინიციატივა მატერიალური და მორალური მიღწევების საფუძვლად მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ სამოქალაქო ომის მომდევნო 30-40 წლის განმავლობაში ჩაეყარა საფუძველი შეერთებული შტატების დიდი წარმოებების უმრავლესობას. დასავლეთის შტატებისაკენ გზა უკვე გახსნილი იყო. მწარმოებელსა და საქმის კაცს უყურებდნენ, როგორც ახალი ხანის შემქმნელსა და მშენებელს. დამყარდა მანამდე წარმოუდგენელი აყვავების ხანა და ამ აყვავებას მთლიანად რესპუბლიკანურ პარტიას აწერდნენ. რესპუბლიკანელების დიდ გამარჯვებად უნ და ჩაითვალოს აგრეთვე მიმდინარე საუკუნის დამდეგს შ. შტატების პრეზიდენტად თეოდორ რუზველტის არჩევა. სამართლიანობისა და ზომიერების იშვიათი გრძნობით დაჯილდოებული, ამ დინამიური პიროვნების ხელმძღვანელობით რესპუბლიკანურმა პარტიამ მიაღწია დიდ შედეგებს. შინაური მმართველობის ასპარეზზე, ეკონომიურ საქმიანობაში მთავრობის სრულიად ჩაურევლობის პოლიტიკა საგულისხმოდ შეიცვალა. მონოპოლისტურ ინდუსტრიას ბრალი დასდეს მოსახლეობისათვის საზარალო მოქმედებაში და დიდი კამპანიების უმრავლესობას ბრძოლა გამოუცხადეს. თეოდორ რუზველტის დროსვე დაიწყო შ. შტატებმა ძველი კონტინენტის, ევროპისა და აზიის საქმეებით აქტიურად დაინტერესება. მისმა ჩარევამ ხელი შეუწყო რუსეთსა და იაპონიას შორის ომის დამთავრებას. მისივე გავლენით ასცდა ევროპას ომი: საფრანგეთსა და გერმანიას შორის ე.წ. მაროკოს კრიზისის გამო. რესპუბლიკანელები ქვეყნის სათავეში დარჩნენ 1914 წლამდე. ამის შემდეგ დემოკრატი ვუდრო ვილსონი იქმნა ორჯერ ზედიზედ შ. შტატების პრეზიდენტად არჩეული. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ვილსონის მეთაურობით შეიქმნა ერთა ლიგა. მაგრამ ერთა ლიგაში ამერიკის წევრობის საკითხი გადაიქცა არჩევნებში ვილსონის დამარცხების მთავარ მიზეზად და კიდევ ერთი ათეული წლით, თეთრ სახლში რესპუბლიკანელები დაბრუნდნენ.

როგორც ზემოდ ვთქვით, რესპუბლიკანელების პარტიას ყოველთვის ინდუსტრიის აყვავებას უკავშირებდნენ. მაგრამ ჰერბერტ ჰუვერის პრეზიდენტობის დროს ამერიკაში მომხდარმა სასტიკმა ეკონომიურმა კრიზისმა გამოიწვია არჩევნებში პარტიის დამარცხება და სახელმწიფოს სათავეში ისევ დემოკრატები მოვიდნენ ფრანკლინ დელანო რუზველტის მეთაურობით. 1932-დან 1952-მდე ქვეყნის სათავეში იყვნენ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. მაგრამ 1952 წ. არჩევნებში რესპუბლიკანურმა პარტიამ წამოაყენა გენ. აიზენჰაუერის კანდიდატურა. გენ. აიზენჰაუერს, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ მოკავშირეთა მთავარსარდალს ხალხი სთვლიდა ეროვნულ გმირად და რასაკვირველია მეტი ხმები მიიღო ვიდრე მისმა კონკურენტმა, დემოკრატების კანდიდატმა, ბრწყინვალე პიროვნებამ ადლაი სტივენსონმა.

**EDITORIAL BOARD:** Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.
**EDITOR IN CHIEF:** D. Sindikeli.
12-29 — 120 St. College Point. L. I.

## საბჭოთა აღმშენებლობა

### გაზეთებიდან

მსოფლიოს დაპყრობის და გაკომუნისტების იდეას შესწირა კრემლმა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კეთილდღეობა. მთელი ხალხის ენერგია და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები მან სამხედრო საჭურველის მზადებას, სამხედრო ქარხნების შენებას და სტრატეგიული გზებისა და არხების გაყვანას მოახმარა. მახიაკების თავში დასახული ფანტასტიური, განუხორციელებელი გეგმების განხორციელებას შეეწირა მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ყველა მნიშვნელოვანი წამოწყება სასიკვდილოდ განწირული მონების ხელით არის აშენებული. რამდენი ათასი ადამიანის ძვლებია ჩაყრილი, მაგალითად, თეთრსა და ბალტიის ზღვებს შორის გაყვანილ არხში? რამდენი ათასი კაცი შეიწირა ვოლგა-დონის არხმა? რამდენი შეიწირა ურალის მხარეში საინდუსტრიო ცენტრების შექმნამ? რამდენი მილიონი ადამიანი დაიღუპა ციმბირში და ყინულოვან ჩრდილოეთში ოქროს წარმოების შესაქმნელად? ყველგან ათასები, ასი ათასები და მილიონები! მთელი საბჭოთა ინდუსტრია ადამიანების ძვლებზეა დაშენებული. მთელი საბჭოთა კავშირი მოფენილია უდანაშაულოდ დასჯილთა საფლავებით და სასიკვდილოდ განწირულთა საკონცენტრაციო ბანაკებით. განა ქარხნისა და სახლის ასაშენებლად შეიძლება ასეთი ფასის გაღება? სად, რომელ ქვეყანაში და როდის მომხდარა ასეთი რამე? მსოფლიო ისტორიას სხვა ასეთი შემთხვევა არ ახსოვს. ეს განუზომელი ბოროტმოქმედება სავსებით მარქსის მოძღვრების განხორციელების აუცილებელი შედეგებია.

საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო 1921 წელს. მაშასადამე უკვე 35 წელია კომუნისტური რეჟიმი არსებობს. ცხადია, შეუძლებელი იყო ამ ხნის განმავლობაში არაფერი აეშენებინათ. მაგრამ საკითხავია რა აშენდა და რა ფასად? თუ ამ აშენებულის ღირებულებას შევადარებთ იმავე ხნის განმავლობაში საქართველოდან რუსეთისაკენ გაზიდული სიმდიდრის ფასს, დავინახავთ, რომ ამ ციფრებს შორის ძალიან დიდი განსხვავება იქნება. სხვა არავითარი მინერალი და არავითარი ბუნებრივი სიმდიდრე რომ არ წავლოთ, 35 წლის განმავლობაში გაზიდული მხოლოდ მარგანეცის ღირებულება რამდენიმე ას მილიონ დოლარს უდრის. ეს მარგანეცი მთლიანად საბჭოთა რუსეთის მძიმე ინდუსტრიას ხმარდება და ამაში საქართველო ერთ კაპიკსაც არ იღებს, რადგან შეტანილია საკავშირო ბიუჯეტში, მაშასადამე ითვლება რუსეთის და არა საქართველოს საკუთრებად. ამას მიუმატოთ ყველა სახის მინერალები, ნედლი მასალა, წყლები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომელიც მიაქვს მოსკოვს ნახევარ ფასად და დავინახავთ, რომ გასაბჭოების შემდეგ საქართველოში აშენებული რამდენიმე ელსადგურის და ადგილობრივი მნიშვნელობის ქარხნის, რამდენიმე ხიდის და ორი თუ სამი ათეული სახლის ღირებულება, პროცენტადაც არ ეყოფა საქართველოდან წაღებული სიმდიდრის ფასს. ამას დაუმატოთ, რომ საბჭოთა ეს ე. წ. მიღწევები ქვეყანას დაუჯდა მრავალი ათასი ქართველის სიცოცხლედ. რამდენი ათასი ქართველი დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ' რამდენი ათასი აწამა და რამდენ ათასს ამოხდა ტანჯული სული ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში? როდისმე ქართველი ხალხი ამას სწორად გამოიანგარიშებს, ყოველი მსხვერპლის სახელს გაიგებს და არ გვგონია, რომ ათასობით ადამიანების მკვლელობის გასამართლებლად ზაგესი და რიონგესი საკმარისი იქნეს.

მაგრამ გარდა ამ საპროპაგანდო მნიშვნელობის ძეგლებისა, საერთოდ, საქართველოში აღმშენებლობის საქმე უაღრესად ჩამორჩენილა. აი საბუთები, ამოწერილი გაზეთ „კომუნისტიდან“: თბილისში, ცხემის ჩიხი ნომერი 5. 1936 წელს სახლი შეუმოწმებია თბილისის საბინაო განყოფილებას და დაუდგენია: „სახლის სახურავი, აივნები, კიბეები, და ჭერი კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებსო“. მას შემდეგ შარშანდლამდე, ე.ი. 20 წლის განმავლობაში ამ სახლის შეკეთება არ დასრულებულა. „სახურავში ჩამოსულმა წყალმა ხის ნაწილები დაალპო; კედლები, აივნები და მოაჯირები დააზიანა. ამის შესახებ გასულ წელს რამდენმეჯერ ვაცნობეთ რაისაბჭოს. მუდამ გვპირდებიან სახლის შეკეთებას მაგრამ რემონტს არ იწყებენო,“ სჩივიან მდგმურები. მეორე მაგალითი: „ზესტაფონის რაიონის სვირის ფოსტის განყოფილებას 4 ოთახიანი ბინა აქვს, მაგრამ იგი შეუკეთებლობის გამო უმწეო მდგომარეობაშია. აივანი სანახევროდ მონგრეულია, სახურავში წვიმა ჩამოდის. თვით საოპერაციო ოთახშიც შეუძლებელია წვიმის დროს მუშაობა. ზესტაფონის განყოფილებამ მრავალჯერ დააყენა სათანადო ორგანოებში საფოსტო განყოფილების კეთილმოწყობის საკითხი, მაგრამ დღემდე შედეგი არ სჩანსო“ — სწერს ფოსტის უფროსი. მესამე მაგალითი: „ახალციხის საქალაქო საბჭოს აღმასკომი მოთავსებულია ორ სართულიან შენობაში. რამდენიმე წელია, წვიმიან ამინდში წყალი ოთახებში ჩადის და აფერხებს მუშაობას. ზიანდება შენობის კედლები, აგრეთვე კარადები და საკანცელარიო დოკუმენტები. ეს მდგომარეობა იციან საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ და ამაზე იმსჯელა რაისაბჭოს სესიამაც. მიუხედავად ამისა რამდენიმე წელია, რომ სახურავი შეუკეთებელიაო“ — სწერს ამ საბჭოს მდივანი ვინმე დურგლიშვილი.

ამრიგად, ერთ და იმავე სურათს ვხედავთ თბილისში, ზესტაფონში და ახალციხეში. ასევეა სხვაგანაც. საცხოვრებელი სახლების მდგმურები 10-15 წლიწადი უცდიან სახლის სახურავის შეკეთებას და ასევე ყოფილა სახელმწიფო დაწესებულებებშიც. ეს დაუჯერებელი ამბავი სრულიად უბრალო მიზეზით აიხსნება: სახლები სახელმწიფოს ეკუთვნის და მათი შეკეთება სახელმწიფო დაწესებულების საქმეა. სახელმწიფოს მოხელეები, განსაკუთრებით წვრილი მოსამსახურეები, ნახევრად მშივრები არიან და დღე და ღამ იმაზე ფიქრობენ რა წაგლიჯონ დაწესებულებას. ყველა ცხოვრობს ე.წ. ხალტურით. თუ ვინმე მათ სარგებელს აღუთქვამს, გააკეთებენ, საქმეს დააჩქარებენ, თუ არა და ქაღალდები სადმე უჯრაში ჩაიდება და საქმე წლობით იცდის. ასეთია საბჭოთა „ტემპები“ როცა საქმე შეეხება ხალხისათვის საჭირო აღმშენებლობას. კიდევ ერთი მაგალითი:

„სამგორის“ მშენებლობაზე საქართველოში ძალიან ბევრი დაიწერა. გაზეთები მთელი თვეების განმავლობაში სავსე იყო ამ თემაზე წერილებით და სურათებით. მიუხედავად ამისა, სინამდვილე ნაკლებად სასახელო აღმოჩნდა. „კომუნისტში“ ვკითხულობთ: „სამგორის მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს დასახლების ტრესტს დავალებული ჰქონდა სართიჭალის ველზე, სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოყვანილი მუშების საცხოვრებლად აეშენებია 500 პატარა, 2-3 ოთახიანი სახლი. გეგმის მიხედვით ამ სახლების აშენება სახელმწიფოს უნდა დაჯდომოდა 13 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან, წლის ბოლომდე დაიხარჯა 9 მილიონი მანეთი, მაგრამ დამთავრებული იყო მხოლოდ 60 სახლი, ხოლო დანარჩენი 440-ს მშენებლობა შესრულებული იყო მხოლოდ 20 %-ით. ამავე დროს ადგილი ჰქონია სახელმწიფო ქონების და ფულების მითვისებას. გაზეთი სწერს: დიდი თანხებია გაცემული ფიქტიური ხელწერილებით ისეთ პირებზე, რომელთაც სართიჭალაში არც კი გაუვლიათო. ამ გზითა და წესით ერთ ბუღალტერს მიუთვისებია 130 ათასი მანეთი; ერთ მოლარეს 18,340 მ., მეორეს 8.764 მანეთი. ერთ ბრიგადირს მხოლოდ ერთ თვეში ყალბი განრიგებით მიუღია 7.400 მანეთი და ასე შემდეგ. ყველგან, ყოველ დარგში, სახლის აშენებაა ეს, აგურის დამზადება, გზისა და ხიდის თუ არხის გაყვანა, ყველგან ფულის გაფლანგვა, მითვისება და ქურდობა. იპარავენ მოლარეები და ბუღალტრები, ბრიგადირები და ინჟინრები. იპარავენ ყველაფერს: ფიცარს, ცემენტს, ლურსმანს, თლილ ქვას და ხელსაწყოს. ამის შედეგად, სახლი, რომელიც ევროპაში და ამერიკაში ნორმალურად ორ ან სამ თვეში აშენდებოდა, საქართველოში შენდება ორი-სამი წელიწადი. მერე როგორ არის აშენებული? ხშირია შემთხვევები რომ ბუხარში კვამლი არ გადის, კარები და ფანჯრები არ იხურება და იატაკზე ფიცრებს შუა ცარიელი ადგილია დარჩენილი. და ყოველ ასეთ მშენებლობას მრავალი ადამიანი ეწირება: დაძრწის ენკავედე და აპატიმრებს ე.წ. „მავნებლებსა“ და „ჯაშუშებს“. ასეთია საერთო სურათი აღმშენებლობის დარგში.

ალ. ქართველი

## მოხსენება საქართველოზე

რუსეთის შემსწავლელმა ინსტიტუტმა ნიუიორკში გაერთიანებული ერების მოედანზე, ინტერნაციონალური ზავის შენობაში მოაწყო თავისი მორიგი სამეცნიერო კონფერენცია შემდეგ თემაზე: „საბჭოთა კავშირი 1956 წელში“. მოხსენებები და კამათი გაგრძელდა ორი დღე. სხდომებს ესწრებოდნენ უნივერსიტეტებისა, სამეცნიერო დაწესებულებებისა, გაზეთებისა და სხვა და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები, ამიტომ მსჯელობა სწარმოებდა ინგლისურ ენაზე. ქართველებიდან მონაწილეობა მიიღეს ბ. ბ. ვ. ციციშვილმა, რომელიც შეეხო საქართველოს კულტურას; ილია გოლდმანმა საბჭოთა ვაჭრობის შესახებ, და ჩვენმა თანამშრომელმა ბ. ა. ცომაიამ. ამ უკანასკნელმა კარგად გამოიყენა შემთხვევა და ილაპარაკა ჩვენთვის ამჟამად ყველაზე აქტუალურ საკითხზე: თბილისის ბრძოლებზე. მან გააცნო მსმენელებს სტალინის როლი საქართველოს დაპყრობისა და შემდეგ მომხდარი რეპრესიების დროს და შეეხო უკანასკნელი აჯანყების გამომწვევ ნამდვილ მიზეზებსა და ქართველი ხალხის დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობას. ამ სიტყვის ქართული ტექსტი დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

***

## ახალი წიგნები

გამოვიდა ბ-ნ ს. ზალდასტანიშვილის მოგონებები: **„საქართველოს 1924 წ. ამბოხება“**

ვინც ავტორს იცნობდა, იმისთვის ადვილი მისახვედრია ის დარბაისლური ტონი და ობიექტიურობა, რომელიც ახასიათებს ამ წიგნაკს. ავტორი კეთილად არის განწყობილი ყველა მებრძოლისადმი და ზოგ შემთხვევაში განგებ გაურბის დასკვნის გაკეთებას, რათა პასუხისმგებლობა შეუმციროს ზოგიერთ პირს. მაგალითად 1922 წ. კახეთ-ხევსურეთის გამოსვლების დროს, ან დამკომის გადაწყვეტილების გამო, რომ საზღვარ გარედ გაეგზავნათ ორი კაცი და რატომღაც გაიგზავნა მხოლოდ ერთი და სხვა მრავალ ასეთ შემთხვევებში.

განსვენებული ს. ზალდასტანიშვილი ერთი მეთაურთაგანი იყო 1924 წ. აჯანყების, როგორც წევრი სამხედრო კომისიისა ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა აჯანყებისათვის სამზადისში და იცნობდა ყველა ხელმძღვანელს. ამიტომ მისი მოგონებები დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც ამ ბრძოლის ისტორია აინტერესებს. წიგნაკი შეიცავს სულ 52 გვერდს და წამძღვარებული აქვს ავტორისა და ქ. ჩოლოყაშვილის სურათები.

ჩვენს მკითხველებს ურჩევთ წაიკითხონ ეს წიგნაკი, რომელიც ეხება ქართველი ერის ერთ ყველაზე უფრო მშფოთარე ხანას.

წიგნაკი ღირს 2 დოლარი და შეძენა შეიძლება „ქართული აზრის“ რედაქციაში.

***

**ალ. მანველიშვილი: „ქრისტიანობა საქართველოში“ 2) „ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია“.**

ბ-ნი ალ. მანველიშვილი ემიგრაციაში კარგად ცნობილი მწერალია. მან ემიგრანტულ სიდუხჭირეში უკვე მოახერხა გამოეცა რამდენიმე მშვენიერი ნაშრომი. მათ შორის ისეთი სერიოზული წიგნები, როგორც მაგალითად „საქართველოს ისტორია“ **ფრანგულ ენაზე** და „რუსეთი და საქართველო“. ორივე დაწერილია საკითხის ღრმა ცოდნით და ქართული გულით. უნდა აღინიშნოს, რომ ა. მანველიშვილმა საქართველოს ისტორიის ფრანგულ ენაზე გამოცემით დიდი სამსახური გაუწია ქართული კულტურისა და ისტორიის ევროპისათვის გაცნობის საქმეს და ამით დაიმსახურა ყველა ჩვენგანის მადლობა.

ახლად გამოქვეყნებული შრომებიც მეტად საინტერესო საკითხებს ეხება და იძლევა მეცნიერულად შემოწმებულ მასალებს. წიგნაკები პატარა ზომისაა (32 გვ.) ღირს თითო დოლარი. შეძენა შეიძლება ჩვენს რედაქციაში.

***

„ქართული აზრის“ ფონდისათვის მიღებულია შემოწირულებანი შემდეგი პირებისაგან: ექ. დ. ჩატარა 20 დ., ექ. გ. გაბლიანი 5 დ., ლ. ჩიქოვანი 10 დ., მეგობრისაგან 20 დ., ვ. ს. 10, ვ. შ. 5, გ. შულღიაშვილი 2 დ., ვ. სანგულია 10, ს. კაიშაური 10, ა. კეკელია 10, ნ. თოფურია 10 დოლარი. სულ 112 დ.

რედაქცია ულრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ და მოაგონებს, რომ გაზეთის საარსებო წყარო მხოლოდ შემოწირულებაა.

Printed by Rausen Bros., 142 E. 32nd Street, N. Y. C.